პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

წითელი მეომარი

3 დეკემბერი. კვ
შესან. მოვკა დღიური

წელიწად მესამე.

რედაქციის მისამართი
ტფილისი სახაზლის ქ. № 5
(ცენტ. წითელ-არმიელთა კლუბი)
რედაქცია ღიაა ყოველდღე გარდა კვირა უქმე დღეებისა 9—2 საათ.

ხელის მოწერის თვიური ფასი 1 მან. 20 კ.

დასაბეჭდათ გამოგზავნილი წერილები უნდა იყოს დაწერილი ცალ გვერდზე, სუფთად და მელნით ავტორის ხელის მოწერით. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს.

№ 404 ქართული მსროლელი დივიზიის პოლიტ-განყოფილების ყველ დღიური გაზეთი. ფასი 5 კაპ. ჩერ. № 404

ამერიკის პასუხის გამო.

უკანასკნელ ხანებში ჩვენმა პრესამ დიდი ყურადღება მიაქცია ს.ს.რ. კავშირსა და ამერიკის შორის დამოკიდებულების საკითხს.

როგორც ვიცით მიმდინარე წლის განმავლობაში საბჭოთა რუსეთში მეტად გახშირდა სხვა და სხვა ჯურის სენატორების სავაჭროდ ოფიციალურ წარმომადგენლების სტუმრობა.

როდესაც ისინი მოდიოდენ რუსეთში, მათ ეხატებოდათ რუსეთი ისეთი ფერებში, რომ თვით ნეტარ ხსენებულ სახარების ჯოჯოხეთი სამოთხეთ მიაჩნდათ მასთან შედარებით.

მაგრამ მოსვლის და ნახვის შემდეგ ევროპის და ამერიკის ბურჟუაზიის ერთგულ მსახურთ სულ სხვა ფიქრები და აზრები ებადებოდათ. ისინი სინამდვილეში რწმუნდებოდენ, რომ საბჭოთა ხელისუფლება არც ისე სუსტია, რომ მას სავსებით შესწევს ძალა და უნარი აღადგინოს მუშურ-გლეხური რესპუბლიკის მეურნეობა. მეტ შემთხვევაში როდესაც უცხოელი სტუმრები ბრუნდებიან უკან თავიანთ ქვეყნებში ისინი მთელი ძალ-ღონით ეწევიან აგიტაციას, რუსეთთან ნორმალურ სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობის დამყარების სასარგებლოთ. მაგრამ ჯერჯერობით ბურჟუაზიული ქვეყნები მაინც განზე დგანან მცირედის გამონაკლისით და დიდ ყოყმანში არიან დაიწყონ ოფიციალური მოლაპარაკება საბჭოთა ფედერაციასთან თუ არა.

ერთის მხრივ მათ აიძულებს მოსახლეობა ასეთი ვეებერთელა ბაზრის ყოლაში, როგორც საბჭოთა ფედერაცია არის, მეორეს მხრივ მათ აშინებს საბჭოთა ფედერაციის აღორძინების და განმტკიცების ფაქტი. ბურჟუაზიულ ქვეყნების ამ კატეგორიის საუკეთესო წარმომადგენლად უნდა ჩაითვალოს ამერიკა.

როგორც ვიცით საბჭოთა რუსეთს სტუმრა ამერიკის რამოდენიმე გამოჩენილი სენატორები, როგორც ბორა, ლაფოლეტი და სხვა. მათ მოგზაურობას რუსეთში შედეგად მოჰყვა ის, რომ საკითხი რუსეთთან ოფიციალური მოლაპარაკების დაწყების შესახებ, მასთან ეკონომიური კავშირის გაბმის მიზნით დაისვა არა მარტო ამერიკის ფართო საზოგადოებრივ წრეებში, არამედ თვით ამერიკის მთავრობაში. სხვათაშორის პრეზიდენტ კულიჯმა დადებითი აზრი გამოთქვა ამ საკითხზე.

თითქოს ყველაფერი მზად იყო მისთვის, რომ დაწყებულიყო ეს მოლაპარაკება, მაგრამ ყველაფერი გააფუჭა საგარეო საქმეთა მინისტრ იუზმა, რომელმაც აიძულა მთავრობა ოფიციალურად უარი ეთქვა საბჭოთა მთავრობასთან რაიმე მოლაპარაკების გამართვის შესახებ.

რაშია საქმე რა მოხდა?,

მთავრობის ერთი ნაწილი თვით პრეზიდენტი კულიჯის მეთაურობით მზადაა საბჭოთა ქვეყნებთან გააბას საქმიანი ეკონომიური კავშირი, ხოლო მეორე ნაწილი, რომელიც ამ ჟამად უმრავლესობას წარმოადგენს მთავრობაში, იუზის მეთაურობით წინააღმდეგია ამ ნაბიჯისა.

პირველი ჯგუფი წარმომადგენელია მსხვილი ბურჟუაზიის რომელიც დიდათ არის დაინტერესებული რუსეთის ბაზარში, რომელიც მას საშუალებას მისცემს გაასაღოს აუარებელი დაგროვილი ფაბრიკატები.

მეორე ჯგუფი იუზის ხელმძღვანელობით გამოხატავს მსხვილი აგრარიების ინტერესებს, რომლებიც დაუძინებელი მტერი არიან საბჭოთა ქვეყნებისა, რომლებშიც ისინი ხედავენ მძლავრ მეტოქეს პურის ბაზრის დაპყრობაში. ამერიკის მსხვილ მიწად მფლობელებს ეშინიათ, რომ ამერიკასთან ამ ეკონომიური კავშირის დამყარებით საბჭოთა ფედერაცია უფრო აღორძინდება, გაღონიერდება და წაართმევს მათ მსოფლიო პურის ბაზარზე პირველობას რომელიც დღეს მათ ხელშია.

ამიტომაც სავსებით ნათელია და გასაგებია ჩვენთვის ამერიკის პასუხი ჩვენს მომართვაზე.

მაგრამ რაც უნდა ბევრი არ იყოყმანოს ამერიკის მძარცველ წრეებმა ადრე თუ გვიან ისინი იძულებულნი იქნებიან გაყვენ სენატორ ბორას მიერ ნაჩვენებ გზას.

რადიო-დეპეშები

გერმანიის ამბები.

— ბავარიის მინისტრი ბურცენგოფერი თანამდებობიდან გადადგა.

— აღმოაჩინეს კარის მოკვლის განზრახვის გეგმა. ეჭვით შეპყრობილია მსაიოდი ბარტოლდი.

— რურის ოლქის სამრეწველოების მუშები სასტიკ ბრძოლას აწარმოებენ 8 საათის სამუშაო დღის დასაცავად.

ბავარიის ლანდტაგში.

ბავარიის სახალხო პარტიის მიერ წინადადების შეტანის გამო, რომელიც ეხება ბავარიის ლანდტაგის დაშლას, 2 დეკემბერს მთელი დღის განმავლობაში გრძელდებოდა ფრაქციული და შიგაფრაქციული თათბირები. სოციალ დემოკრატიულმა ფრაქციამ შეიტანა ლანდტაგის მუდმივ კომისიაში განცხადება, რომელიც იწონებს სახალხო პარტიის წინადადებას იმ შემთხვევაში, თუ რომ საარჩევნო კანონი შეცვლილ იქნება დეპუტატების სანახევროდ შემცირებით, მოსპობილი იქნება გამონაკლისი მდგომარეობა და გარანტია იქნება კრების და პრესის სრული თავისუფლებისა.

სოციალ დემოკრატების წინადადების საბოლოო განხილვამდი კომისიის მიერ, ბავარიის პარტიამ წაიღო უკან წინადადება ლანდტაგის გაშვების შესახებ.

ბავარიის მიწად მოქმედების მინისტრის გადადგომა.

ბავარიის მიწადმოქმედების მინისტრი ბურცენგოფერი თანამდებობიდან გადადგა, ბავარიის გლეხთა კავშირის პოზიციასთან დაკავშირებით, ბავარიის ავტონომიის გაფართოების შესახებ კანონპროექტის მიღების დროს.

კარის მოკვლის განზრახვა.

თანახმად ოფიციალურ ცნობისა, მიუნხენის პოლიციამ გამოააშკარავა კარის მოკვლის განზრახვის გეგმა. დაპატიმრებულია მსახიობი ბარტოლდი, რომელსაც თითქოს უნდა მოეკლა კარი.

მოხელეების შრომის ფასი.

ნაციონალისტები აწარმოებენ ენერგიულ აგიტაციას მოხელეთა შორის, რომლებიც უკმაყოფილონი არიან შრომის ხელფასის შემცირების გამო. მოხელეთა კავშირის მიერ მოწყობილ მასიურ კრილობაზე ერთხმად გამოტანილ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც გამოთქმულია პროტესტი მოხელეთა უფლების შელახვის წინააღმდეგ და მოითხოვს, რომ შტატების შემცირების დროს პირველ რიგში დათხოვნილ იქნან მოხელეები, რომლებიც მიღებულ არიან სამსახურში რევოლიუციის შემდეგ. ანალოგიური რეზოლიუცია გამოიტანა მოსამსახურეთა ყვითელმა პროფკავშირმა.

სამუშაო დღე.

წინააღმდეგ მეტალისტების პრეზიდიუმის დადგენილებისა, სადაც მიღებული იყო 10 საათის სამუშაო დღე, რურის მეტალურ სამრეწველოებში, ხსენებულ დარგის მუშები ენერგიულ ბრძოლას აწარმოებენ სამუშაო დღის გადიდების წინააღმდეგ.

გელზენკირხენში სამუშაო დღის გადიდების წინააღმდეგ წავიდა 32 მ. ხოლო მხარი დაუჭირა 32 მუშამ. სხვა ქალაქებში მუშები წინააღმდეგ ილაშქრებენ. მიულგეიმში და ობერგაუზენში სამთო-მადნო მუშებმა უარი განაცხადეს გადიდებულ საათებით მუშაობაში. ტისენის სამრეწველოებში ადმინისტრაციამ დაამარცხა მუშების წინააღმდეგობა,

სამხრეთ-რეინის ფაბრიკა ქარხნების კომიტეტების კონფერენციამ ზოლლინგენში მოითხოვა, სრულიად გერმანიის პროფკავშირებიდან ენერგიული ბრძოლა 8 საათის სამუშაო დღის დასაცავად.

ოპელპაციო ქინილ ოლქების უმუშევართა კონფერენციამ მიმართა მუშებს მტკიცედ დაიცვან რვა საათის სამუშაო დღე.

ინგლისის ამბები.

ინგლისი და საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი.

მოსკოვის პარტიულმა დისკუსიამ კონსერვატიულ პრესას საშვალება მისცა აწარმოოს ახალი კამპანია საბჭოთა მთავრობის ცნობის წინააღმდეგ.

ლიბერალურმა პრესამ, პირიქით, გააძლიერა აგიტაცია საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ. ლიბერალური „ვესტმინსტერ გაზეთი“ წერილში „ბრიტანეთი სცნობს საბჭოთა მთავრობას“ მიუთითებს, რომ საბჭოთა მთავრობის პოზიცია ვალების საკითხში ნათელია და სავსებით მისაღებია.

რუსეთს ესაჭიროება კრედიტი, რომელიც მას დაუყონებლივ უნდა მიეცეს, ვინაიდან ის სარგებლობს საკმაო ნდობით საქმიან ქვეყნებს

ახალი მთავრობა პოლონეთში.

ვიტოსის მთავრობა გადადგა და ახალი მთავრობა შეადგინა გრაბსკიმ.

კაბინეტების კრიზისი, ერთობ ხშირი მოვლენაა პოლონეთის ცხოვრებაში. პოლონეთის მძიმე მდგომარეობა ვერ გააუმჯობესა ვერც ერთმა მთავრობამ და ისინი ხშირად იცვლიდენ ადგილს ერთი მეორეს. პოლონეთში უმუშევრობა მძვინვარებს. პოლონეთის მარკა დღითი დღე კარგავს ფას. სამხედრო ხარჯების სიდიდის გამო მშრომელები გადასახადის მძიმე უღელს ატარებენ. მრეწველობა უცხოელ კაპიტალისტების ხელშია, რომლებიც სასტიკ ექსპლოატაციას ეწევიან მუშათა კლასსზე და მოგებას თვითონ იჯიბებენ, პოლონეთს კი ნამცეცებს წაუგდებენ. პოლონეთი საფრანგეთის იმპერიალიზმის ვასსალია. მისი სურვილების მონა-მორჩილია. პოლონეთის გენერალურ შტაბის უფროსი ფრანკი გენერალია.

ყოველივე ამან არ შეიძლება დიდი გავლენა არ იქონიოს პოლონეთის პოლიტიკაზე. ამით აიხსნება კაბინეტების ხშირი კრიზისი. უკანასკნელი, ვიტოსის კაბინეტის დაცემაც გართულებულ პირობების ბრალია.

გრაბსკის ახალი კაბინეტი შედგენილია სხვა და სხვა პარტიების, მათ შორის სოციალისტების თანხმობის ნიადაგზე. გრაბსკიმ ყველა პარტიების გული მოიგო, გარდა ნაციონალურ უმცირესობის დეპუტატებისა, რომლებიც რჩებიან ოპოზიციაში.

იქნება გრაბსკის კაბინეტი უფრო ხანგრძლივი და მტკიცე ვიდრე მისი წინაპარის ვიტოსის კაბინეტი? ძალიან საეჭვოა, მაგრამ ჩვენ ეს მაინც და მაინც არაფრად გვაინტერესებს.

კაბინეტების ოთურმაში ჩვენ გვაინტერესებს მხოლოდ ერთი—ჩვენი და პოლონეთის დამოკიდებულება. ვიტოსის კაბინეტმა დაცემის წინა დღეებში იცნო საბჭოთა კავშირი. ამის ირგვლივ დიდ ხანს სწარმოებდა დიპლომატიური მოლაპარაკება ჩვენსა და პოლონეთს შორის. როგორი იქნება ახალი მთავრობის პოლიტიკა საბჭოთა კავშირის მიმართ? გააგრძელებს და კიდევ უფრო გააღრმავებს ის ჩვენთან ნორმალურ ურთიერთობას, რომელიც დაიწყო ვიტოსმა, თუ ძველ გზას დაადგება?

თუ პოლონეთის მთავრობას სურს აწარმოოს დამოუკიდებული და ძიზან შეწონილი პოლიტიკა თავის ქვეყნის სასარგებლოდ, მან პირველი უნდა აირჩიოს. საბჭოთა კავშირი კი თავის მხრივ ახალი კაბინეთის ასეთ მოქმედებას სიამოვნებით შეხვდება, ვინაიდან საბჭოთა მთავრობას საგარეო პოლიტიკა მიმართულია მშვიდობიან და კეთილ მეზობლურ დამოკიდებულების დამყარებისაკენ, და თუ პოლონეთის ახალი მთავრობის სურვილიც ეს იქნება, საბჭოთა მთავრობა მთელი არსებით მხარს დაუჭერს პოლონეთთან ნორმალურ პოლიტიკურ-ეკონომიურ ურთიერთობის დამყარებას.

ელ.

შორის. გაზეთი ამართლებს საბჭოთა მთავრობის დამოკიდებულებას ერთა ლიგის მიმართ, ხაზს უსვამს საბჭოთა მთავრობის მშვიდობის მოყვარეობას და მიუთითებს, რომ რუსეთის ცნობა აუცილებელ პირობას შეადგენს ვალების გადახდის საკითხში.

ლიბერალურ გაზეთ „სტარ“-ის ცნობით, ოფიციალურ წრეებში ფიქრობენ, რომ საბჭოთა მთავრობა თანახმა იქნება იკისროს ძველი ვალების გადახდა, მაგრამ ის მოითხოვს ინტერვენციით გამოწვეულ ზარალის ანაზღაურებას.

გაზეთი მიუთითებს, რომ კონსერვატიული მთავრობის დაცემის შემდეგ, საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ცნობის საკითხში გადადგმულ იქნება მეტად მნიშვნელოვანი და სწრაფი ნაბიჯები.

კონსერვატიული „ივნინგ სტანდარტიც“ კი მხარს უჭერს საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის „დეიურედ“ ცნობას.

— ინგლის პოლიტიკური წრეები საჭიროდ სთვლიან ს. ს. რ. კ—ს დე-იურედ ცნობას.

ახალი კაბინეტის შედგენის გარშემო.

სარწმუნო წყაროების ცნობების მიხედვით, კონსერვატორები სცდილობენ, მუშათა მთავრობის დაცემის შემდეგ, მხარი დაუჭირონ ლიბერალურ კაბინეტს. კონსერვატორები და ლიბერალები მიდიან ახალი არჩევნების წინააღმდეგ, რომლის პროექტი ეკუთვნის მუშათა პარტიას.

ინგლისი და ავგანისტანი.

მოსკოვიდან მიღებულმა ცნობამ რომელშიაც გამოაშკარავებული იყო ინგლისის ულტიმატუმის საიდუმლო ავღანისტანისადმი, გამოიწვია პოლიტიკურ წრეებში ძლიერი განგაში. მთავრობასთან ახლოს მყოფი პრესა ამას სხვაგვარად ხსნის და ამტკიცებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ რომ ინგლისის მთავრობის პრეტენზიები არ იქნება დაკმაყოფილებული, ის მიიღებს ავღანისტანის მიმართ მხოლოდ სანქციებს, რომლებიც გამოიხატებიან უარში ავღანისტანის დამოუკიდებლობის საკითხის მეორე წლის თავის გადადებაში, და რომ მთავრობას არ აქვს განზრახვა ავღანისტანზე თავდასხმისა.

„მანჩესტერ გარდიენის“ და „დეილი ექსპრესის“ კორესპონდენტებთან საუბარში მთავრობის წარმომადგენლებმა ანალოგიურიაზრი გამოთქვეს.

ეს გაზეთებ გვაუწყებენ, რომ მოთხოვნილებები, რომლებიც ინგლისის მთავრობამ წარუდგინა ავღანისტანს, არავითარი საერთო არ აქვს იმ საკითხთან, რომელიც ეხება ავღანისტანის და საბჭოთა რესპუბლიკების დამოკიდებულების საკითხს.

საბჭოთა კავშირი და შე-ერთებული შტატები.

— ამერიკის მთავრობამ არ მიიღო ჩიჩერინის წინადადება, რადგანაც მათი აზრით ჩიჩერინი სცდილობს თავს მოახვიოს ინტერვენციის პასუხის მგებლობა.

იმ მოსაზრებით, რომ კულიჯს უარ ეყო ჩიჩერინის ნოტა, იუზმა წარუდგინა მას თითქო შემთხვევით ხელში ჩავარდნილი ამერიკის მუშათა პარტიის კომინტერნის ინსტრუქცია რევოლიუციონურ პროპაგანდაზე შეერთებულ შტატებში.

სახელმწიფო დეპარტამენტი აქვეყნებს რა ამ ინსტრუქციას უთარიღოთ, სხვათა შორის, ეყრდნობა სტეკლოვის განცხადებას, რომ საბჭოთა ხელისუფლება სულიერად და მატერიალურად შეკავშირებულია კომინტერნთან. ინსტრუქციაში თითქო ნათქვამია, რომ კომინტერნს იმედი აქვს, რომ მუშათა პარტია შეერთებულ შტატებში დაიპყრობს ამერიკის მთელს პროლეტარიატს და ახლო მომავალში თეთრ სახლზე აღმართავენ წითელ დროშას.

კამათი სენატში რუსეთის საკითხის შესახებ.

იუზას მიერ უარყოფამ ჩიჩერინის წინადადების მოლაპარაკების შესახებ და აგრეთვე სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებამ კომინტერნის ინსტრუქციისა, სენატში გამოიწვია დიდი კამათი.

სენატორებმა ბორა, ნორის და უილერმა გააკრიტიკეს რა იუზას პოლიტიკა, უნდობლობით შეხედეს მთავრობის გამოქვეყნებას. ამას წინად ბორის მიერ შეტანილი რეზოლიუცია ს. ს. ს. რ. ცნობის შესახებ, დღემდე არ არის განხილული და გადაცემულია გარეშე საქმეთა სენატის კომისიისადმი თავის აზრის გამოსათქმელად. კომისიის თავმჯდომარე ლოდჯი დაპირდა, რომ კომისიის დასკვნას ახლო ხანში წარადგენს.

პროგრესისტი სენატორები მოითხოვდენ იუზასაგან კომინტერნის ინსტრუქციის არსებობის სინამდვილეს და მიაქციეს იუზას ყურადღება იმ გარემოებას, რომ საბუთებზე თარიღი არ არის აღნიშნული. ბორამ განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობა ამ უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში არავითარ მუშაობას არ აწარმოებს ამერიკის მთავრობის ჩამოსაგდებათ. ლოდჯის შეკითხვაზე, აწარმოებენ თუ არა კომუნისტები პროპაგანდას სხვა სახელმწიფოებში, ბორამ უპასუხა, რომ საფრანგეთი და ინგლისი საბჭოთა მთავრობის მტრებს მატერიალურ დახმარებას უწევდენ და იარაღებს ურიგებდენ ამ მთავრობის ჩამოსაგდებათ.

სენატორ ნორისმა აღნიშნა, რომ სრულებით არ არის დამტკიცებული ის ბრალდება, თითქო საბჭოთა მთავრობა ცდილობდა თეთრ სახლზე აღემართა წითელი დროშა.

საბჭოთა მთავრობა პასუხისმგებელი არ არის იმაზე, თუ რომელიმე პარტიის წევრი კერძოთ რამეს განაცხადებს. სენატორ ბორმა განაცხადა, რომ ის კრინტს არ დასძრავს რუსეთის ცნობის სასარგებლოთ, თუ რომ იუსტიციის დეპერტამენტი დაამტკიცებს, რომ საბჭოთა მთავრობის რომელიმე წარმომადგენელი შეერთებულ შტატებში ეწეოდა მთავრობის საწინააღმდეგო პროპაგანდას.

კონგრესის წევრმა ბრიტენმა (წარმომადგენელთა პალატაში) შეიტანა წინადადება, რომ სახელმწიფო დეპარტამენტმა და გენერალ-ბრალმდებელმა წარუდგინონ კონგრესს ყველა საბუთები კომუნისტური პროპაგანდის შესახებ შეერთებულ შტატებში.

კამათი რუსეთის საკითხის შესახებ დაიწყება უქმეების შემდეგ.

ამხ. ჩიჩერინის განცხადება

უცხოელ ჟურნალისტებთან საუბრის დროს ამხ. ჩიჩერინმა განაცხადა: „გვეცია იუზას მიერ გამოქვეყნებულუთების შინაარს და გამოვარკვევ ეს საკითხი ამხ. ამხ. ზინოვიევთან სტეკლოვთან ერთად, კატეგორიულად ხაზს უსვამ და საბჭოთა მიობის და ზემო ნახსენები ორი მოაქის სახელით ვაცხადებ, რომ საბუთები, ყალბია. წინადადებამძლევ იუზას, იმ შემთხვევაში, უ ის არ წაიღებს ამ საბუთებმაშინ ეს საკითხი უნდა გადაეცამედიატორო სასამართლოს, როის შემადგენლობა ორივე მხარის რ არჩეულ იქნება. თუ ასე არ მოიქცევა იუზა, მაშინ ცხადზე უცხადია, რომ ის შეგნებულად ავრცელებს ყალბ საბუთებს.

დახმარე გერმანიის მუშებს.

ამერიკისაფინანსო დეპერტამენტმა განაცხა, რომ საჭიროა საჩქაროდ და უცილებლად დამშეული გერმანი მუშების დახმარების ალმოჩენა.

სხვა და სხვა

— ნაციონალურ კრებაში ხელმეორედ არჩეული დეპუტატი კომუნისტი მაქსიმოვი კვლავ დააპატიმრეს.

— კლაუზენბურგში ფაშისტ სტუდენტებმა გარეკეს რუმინეთის პრესის ყრილობა. კრებამ გადასწყვიტა განაგრძოს სხდომები ბუქარესტში.

კომუნისტების დაპატიმრება.

ბულგარეთის ნაციონალურ კრებისათვის ხელმეორედ არჩეული კომუნისტი მაქსიმოვი კვლავ დააპატიმრეს.

უმაღლეს სამოსწავლო დაწესებულებებში.

ფაშისტების პროექტებმა უმაღლეს სამოსწავლო დაწესებულებების ორგანიზაციების შესახებ, როგორც არის სავალდებულო სახელმწიფო გამოცდების შემოღება, უნივერსიტეტის პოლიციის დაარსება და სწავლის გადასახადის გადიდება—გამოიწვიეს მღელვარება სტუდენტებში, რასაც მოჰყვა უმაღლეს სასწავლებლების უმეტესობის დახურვა.

გერმანიის რეიხსკანცლერი მარქსი.

დღეს გერმანიის მთავრობას სათავეში უდგას ცენტრის ბელადი მარქსი. დიდი კრიზისების შემდეგ გერმანიის სათავეში ჩადგა ისევ საშუალო ბურჟუაზიის ინტერესების გამომხატველი მთავრობა. აცილებულ იქმნა თავიდან სტინნესის და კომ,, მძიმე ინდუსტრიის დიქტატურა.

მარქსის კაბინეტის პირველი ნაბიჯები მიმართული აყო და არის სამუშაო დღის გადიდებისაკენ, მუშა-მოსამსახურეთა რიცხვის შემცირებისაკენ. და რაც მთავარია საფრანგეთთან მოლაპარაკების დაწყება. მუშათა კლასი დაიმორჩილა დროებით გერმანიის მთავრობამ. დაშლილად გამოაცხადა კომუნისტური პარტია. შესძლო მარკის კურსის რამოდენიმედ განმტკიცება, და ეხლა სასურსათო კრიზისის თავიდან ასაცილებლად მიმართავს ამერიკას სესხისათვის. ამასთან ერთად მარქსის კაბინეტი მშრომელთა ხარჯზე მოლაპარაკებას აწარმოებს პუანკარესთან.

ერთი შეხედვით თითქოს აიცილა კრიზისი გერმანიის ბურჟუაზიამ. მაგრამ ნამდვილად კი ეს ასე არ არის. ფინანსიური ქაოსი, სასურსათო კრიზისი, საშუალებების უქონლობა კვლავ თავს დასტრიალებს გერმანიას. ამ მდგომარეობიდან გამოსვლა არც ისე ადვილი საქმეა. გერმანიისათვის აუცილებელია სესხი. თუ ის მიიღებს სესხს და მოაგვარებს პუანკარესთან საქმეს, მაშინ შესაძლებელია გერმანიის ბურჟუაზიის მდგომარეობა დროებით მაინც გაუმჯობესდეს. მაგრამ ეს სათუოა. ყოველ შემთხვევაში მომავალი გვაჩვენებს ამას. ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ გერმანიაში დახლართულ კვანძს გახსნის მხოლოდ პროლეტარული რევოლიუცია. ის კი აუცილებლად მოხდება, შეიძლება უფრო გვიან ვინემ ჩვენ ეს გვსურს, მაგრამ მაინც მოვა მთელი თავის ძლიერებით.

მუსოლინის განცხადების შემდეგ დათმობაზე წასვლის წინააღმდეგ, მაცადინეობა განახლდა. იტალიის სტუდენტთა კონფედერაციამ დაადგინა: გამოვიდენ პროტესტით პოლიციის მიერ მომხდარ ძალადობის წინააღმდეგ და ეცადონ პროექტის შეცვლას.

რუმინეთში.

ფაშისტი სტუდენტები.

კლაუზენბურგში ფაშისტ სტუდენტებმა გარეკეს რუმინიის პრესის ყრილობა, დაანგრიეს რამოდენიმე მაღაზია და ბანკები.

პოლიციამ მოახდინა დატუსაღება. ყრილობამ გამოიტანა საპროტესტო რეზოლიუცია ფაშისტურ ტერორის წინააღმდეგ და დაადგინა განაგრძოს სხდომები ბუქარესტში.

იტალიის სოციალისტურ პარტიაში.

იტალიის სოციალისტურ პარტიაში იბრძვის ორი მიმართულება. მომავალ პარლამენტის ფრაქცია მხარს უჭერს არჩევნების ბოიკოტს, ავანტის რედაქცია მოუწოდებს არჩევნებში მონაწილეობისაკენ. პარტიის ცეკამ დაადგინა მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში.

ინგლისი და ავგანისტანი.

კერზონი აღსასრულის წინ ერთ ავანტიურას კიდევ მიმართავს. ამ შემთხვევაში მან ავგანისტანი აითვალისწინა. ინგლისის მთავრობამ ულტიმატუმი წარუდგინა ავგანისტანს რომელიც მოითხოვს ავგანისტანის სრულ კაპიტულაციას ინგლისის წინაშე და საბჭოთა რუსეთთან ყოველ გვარ კავშირის გაწყვეტას.

ინგლისის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ თუ ულტიმატუმი უარყოფილი იქმნა ინგლისი არ შეჩერდება ახალი ომის წინაშე.

დეპეშები გადმოგვცემენ, რომ ავგანისტანის საზღვრებზე დაგროვილია უკვე 15 ათასი ინგლისის ჯარი და აგრეთვე საჰაერო ფლოტი.

რამ გამოიწვია ინგლისის ასეთი „მოულოდნელი“ ულტიმატუმი?

ავგანისტანი მდებარეობს ინდოეთის საზღვარზე და მას შეუძლია იყოს ერთდა იმავე დროს კარი ინდოეთისაკენ და მისი დაცვის მთავარი დასაყრდნობი ადგილი. ამისათვის ინგლისი დიდი ხანია იბრძვის ავგანისათვის. ინგლისის დამოკიდებულება ავგანისტანისადმი ომამდის იყო, როგორც ბატონსა და მონას შორის. ინგლისს ფაქტიურად არ ეპყრა ავგანისტანი, მაგრამ მას არავითარ გასაქანს არ აძლევდა.

ავგანელები ვერ ითმენდენ ინგლისის იმპერიალიზმის მძიმე უღელს და ომის დროს აშკარა ბრძოლა გამოუცხადეს ინგლისს. პირველ ხანებში ინგლისის ჯარი მარცხდებოდა. ბოლოს ბრძოლის ბედი ინგლისის სასარგებლოდ გადაწყვიტა საჰაერო ფლოტმა. ავგანისტანი დამარცხდა. მაგრამ 1919 წლის ხელშეკრულების ძალით. ინგლისი იძულებული იყო ეღიარებია ავგანისტანის დამოუკიდებლობა, რომელიც ავგანისტანს მანამდის არ ჰქონია.

ეს ხანა საშიში იყო ინგლისისათვის, ჩრდილოეთით მას ემუქრებოდა რუსეთის, რევოლიუცია, დასავლეთით აჯანყებული ოსმალეთი, სამხრეთით კი მესოპოტამია, ეგვიპტე და რამოდენიმედ ინდოეთი. ამის გამო ინგლისი იძულებული იყო წასულიყო დათმობაზე ავგანისტანის მიმართ.

უკანასკნელმა ფართედ გამოიყენა დამოუკიდებლობა. გააბა კავშირი სხვა და სხვა სახელმწიფოებთან და პირველად ყოვლისა მან დაიჭირა ნორმალური ურთიერთობა საბჭოთა რუსეთთან და ოსმალეთთან, რომლებიც ასე ეზიზღება ინგლისს.

ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლორდ კერზონმა დაინახა, რომ ავგანისტანი შეიქმნა ინდოეთში რევოლიუციონურ იდეების გამავრცელებელ საშუალებათ. ამისათვის კერზონმა თავის ცნობილ ულტიმატუმში საბჭოთა მთავრობისადმი ა. წ. მაისში მოითხოვა საბჭოთა წარმომადგენელის ავგანისტანში ამ. რასკოლნიკოვის გამოწვევა. ამით კერზონს სურდა გაეწყვიტა კავშირი საბჭოთა ქვეყნებსა და ავგანისტანს შორის.

მაშინ კერზონი იძულებული იყო უკან წაეღო ეს მოთხოვნილება. დღეს კი მას ისევ მიეცა შემთხვევა ისარგებლა რა ინგლისის სამხედრო პირებზე თავდასხმით ავგანელების მიერ, რომელშიც თურმე ბოლშევიკებს მიუძღვის დანაშაული მოსთხოვა ავგანისტანს შეეწყვიტოს, დამოკიდებულება საბჭოთა მთავრობასთან. წინააღმდეგ შემთხვევაში ომით ემუქრება.

საბჭოთა ქვეყნების მეგობრული განწყობილება აღმოსავლეთის ხალხთან მოსვენებას არ აძლევს კერზონს. საბჭოთა კავშირის საქონელი მიერეკება ინგლისის საქონელს ავგანისტანიდან. ეს მიუღებელია ინგლისის იმპერიალიზმისათვის. ამის თავიდან ასაცილებლად კერზონი აგზავნის ულტიმატუმებს და უგზავნის ავგანისტანს. მაგრამ კერზონის სასრულს ეს გარემოება უფრო აჩქარებს და მის გაუმაძღარ მადას საზღვარს დაუდებს ინგლისის მუშათა კლასი და ავგანისტანის თავისუფლების მოყვარე ხალხი.

ს. ა.

„პოლიტ-მოგზაურობა.

მესანგრე ასეული.

ცხრამეტ დეკემბრის ღამე.

წითელ არმიელები ერთობიან ახალი პოლიტ-თამაშით.

კედელზე ქარტაა, რომელზედაც მოსჩანან პაწია წითელი დროშები და ემუქრებიან პოლონეთის ფაშისტურ შავ დროშას.

პოლიტ ხელი უხსნის თამაშის მნიშვნელობას, გულდასმით უსმენენ.

დაიყვნენ ჯგუფებად, ამოირჩიეს ხელმძღვანელები.

ჟიურნი ბილეთებს აწესრიგებენ...

ცირკული ათ დიუმიან ვერსტებს ზომავს.

ჯგუფები შეეჯიბრენ.

— აბა ვინ მივა მალე ვარშავამდის?

— მე—იძახის ჩვენი ხუმარა ბერბერაშვილი.

— არა, მე!—ეჯიბრება სილაქაძე.

— რა დღე დაადგებათ პოლონელ შლიახტებს? გაისმის მუქარა და სიცილი.

— აბა გაგვიმაგრდით პანებო..

ცირკული შეჩერდა ბესარაბიაში, კიშენევთან.

— აბა რა ქვეყანაა, ვინა სცხოვრობს?— ეკითხება ჟიური.

— რუსები სცხოვრობენ, მოსკოვის გუბერნიაა.—ამბობს ერთი. გაისმა დაუსრულებელი დაცინვა.

შერცხვა.

— აბა მეორე ჯგუფი!

— ეს ქვეყანაა ბესარაბია, აი ეს მაშველი ბაიარაღი ქალაქ კიშენევს დაესვა. ეს ამ დიდ ომის დროს რუსეთის პროვინცია იყო, ეხლა რუმინეთს უპყრავს, ცხოვრობენ მოლდავანები. ამის განთავისუფლებაც მალე მოგვიხდება რუმინელ ბოიარების ბრჭყალებიდან.

— ყოჩაღ! აბა გაზომეთ შემდეგ·

იზომება ვერსტები, ვუახლოვდებით ვარშავას, ფაშისტურ დროშის მაგიერ ჩვენი წითელი დროშა დაესვა.

გაისმა ვაშა!

წითელ არმიელები სიხარულით ხვდებიან პოლიტ-თამაშს.

სანი..

კულტ-მუშაობა ჩვენს ჯარში.

1. ცენტრალურ კლუბში ყოველ კვირა ხდება კლუბის გამგეთა კრება, სადაც მუშავდება მომავალ კვირეების მუშაობის გეგმა.

აგრეთვე ხდება ჯარში სპორტ-მომუშავე ინსტრუქტორების კრება, რომლებიც ურთ-ერთ უზიარებენ რა მომავალ მუშაობას, ეცნობიან წარსულ მუშაობათა დადებით და უარყოფით მხარეებს.

ეცნობიან პრაქტიკულად მომავალ მუშაობებს.

2. ცენტრალურ კლუბის სამკითხველოში 26 დეკემბრიდან გაიხსნება კედლის გაზეთების გამოფენა; გამოფენაზე ყველა ნაწილებმა წარმოადგინეს თავიანთი გაზეთები, რომელსაც ჟიური (დამფასებელი კომისია) მალე გაარჩევს და მიუსჯის საკონკურსო ჯილდოს, ღირსეულს.

გამოფენაზე ჩვენს ჯარში მყოფთათვის შესვლა უფასოა.

3· ცენტრალურ კლუბში მალე გაიხსნება კლუბის მომუშავეთა და ბიბლიოთეკართა კურსები.

4. პოლიტ-განყოფილების საკლუბო სექცია მალე გამოაცხადებს კარგ „წითელ კუთხეების“ კონკურსს.

5. საკლუბო სექცია მალე დაიწყებს ახალ პოლიტ-სათამაშოების მართვას ჯარში, როგორიცაა; „პოლიტ-მოგზაურობა“ და „ბედის ტრიალი“ რაც დიდ შედეგებს მისცემს ჩვენი არმიელების განვითარებას.

6. საკლუბო სექცია სხვა გასართობებთან ერთად ჩვენს ნაწილებს უგზავნის ახალ ინსცენიროვკებს და რევოლიუციონურ პიესებს.

7. საკლუბო სექციაში გროვდება შესაფასებლად წითელი არმიელთა სხვა და სხვა შემოქმედებანი: თვიური ჟურნალები, გაზეთები, დიაგრამები, ქარტები და სხვა.

ჩვენი ნაწილების კულტურის ჩირაღდანი სულ მაღლა იწევს, რომელიც სასიამოვნოდ უნდა აღინიშნოს.

8. საკლუბო სექციამ ყველა ნაწილებში ჩაატარა „რაბისის“ შემწეობით კონცერტ-საღამოები.

სანი.

საარტილერიო დივიზიაში.

ყოველ სამხედრო ერთეულს უნდა ახასიათებდეს კულტურული მუშაობა, რაიც უდიდესი მონაპოვარია ოქტომბრის რევოლიუციის. კულტურულ მუშაობაში ერთ-ერთ უმთავრეს როლს უფშემადგენლობა უნდა თამაშობდეს. მაგრამ სინამდვილეში ჩვენ წინააღმდეგს ვხედავთ. რას წარმოადგენს ამ მხრივ საარტილერიო დივიზიონი? დავიწყოთ კლუბიდან:

კლუბს ხელ მძღვანელობს ენერგიული ამხანაგი კ. გაბუნია, რომელმაც შესძლო საკავშირო ქსელის გაბმა მუშებს შორის.

კლუბში არსებობს 6 წრე, რომელიც აწარმოებს მეცადინეობას სისტემატიურათ. წრეებს თავიანთი მუშაობა გადააქვთ მასსაში, რაიც გამოიხატება ყოველ დღიურათ წითელ კუთხეებში მოხსენებების კითხვით და საუბრების წარმოებით. იმართება დივიზიონის თეატრში წარმოდგენები, სადაც დაინახავთ მხოლოდ წითელ არმიელებს და თითო ოროლა პირს პოლიტ შემადგენლობიდან, უფ-შემადგენლობიდან კი იშვიათი შემთხვევაა რომ დაგვესწრონ.

საჭიროა გვესწრებოდნენ და გვეხმარებოდენ მუშაობაში უფ-შემადგენლობა და განსაკუთრებით წითელი მეთაურები, რომლებიც გაურბიან ასეთებს.

ბიბლიოთეკა გამოცოცხლდა მას შემდეგ, რაც ის ახალ ბინაზე გადმოიტანა ახალმა ბიბ-გამგემ ამხ. გრ. ჩიჩუამ. მან შეუხამა ბიბლიოთეკის მუშაობა წითელ-არმიელთა სულიერ მოთხოვნილებებს და ამით დაუახლოვა ბიბლიოთეკა მათ. ეს უდიდეს მიღწევათ უნდა ჩაითვალოს საბიბლიოთეკო მუშაობაში, რაიც ამ დრომდე არ ყოფილა.

ლიტ-წრე უშვებს კედლის გაზეთს „პანორამა“, რომელსაც ხელმძღვანელობს სარედაქციო კოლეგია. გაზეთი გამოდის ყოველ კვირაში.

გაზეთს ხელმძღვანელობს ამხ. ა. კოპალიანი, ის არ აკლებს თავს მზრუნველობას კედლის გაზეთს. ის მხურვალე მონაწილეობას იღებს ყოველივე კულტ მუშაობაში, რისთვისაც მადლობა ეკუთვნის მას. ძალიან კარგი იქნებოდა რომ კოპალიანს მიბაძავდნენ სხვა მედ ფერშლებიც, რომლებმაც არც კი იციან დივიზიონში კულტ-მუშაობა სწარმოებს თუ არა.

კოხნარელი.

საარტილერიო დივიზიონში.

ამ წლის 5 დეკემბერს საარტილერიო დივიზიონში არსებულმა დრამ წრემ გამართა წარმოდგენა. დაიდგა პიესა „სტამბაში“. მოთამაშეებს ეტყობოდათ თავისი საქმისადმი სერიოზული მოქცევა, რაც ნათლად გამოაშკარავდა პიესის დადგმის დროს. წარმოდგენამ დიდი ინტერესი გამოიწვია წითელ არმიელთა შორის. მოთამაშეები მქუხარე ტაშით იქნენ დაჯილდოვებულნი. ხსენებულ დივიზიონის დრამწრეში მონაწილეობას იღებენ აგრეთვე ლენინის სახელობის თუთუნის ქარხნის მუშები. ისინი ენერგიულად მუშაობენ ჩვენთან რისთვისაც უძღვნით ჩვენ მხედრულ მადლობას.

სამხ. ჭალარა.

1-ლ ლეგიონის 1 ტყვიამფრქვეველ გუნდში.

გუნდი მშვენივრადაა მოწყობილი.

დაცულია სანიტარული სიფაქიზე.

წითელი კუთხე შესანიშნავად მუშაობს.

დაარსებულია ცნობათა ბიურო, რომლითაც დაინტერესებულნი არიან წითელი მოლაშქრეები და შეკითხვას შეკითხვაზე აძლევენ და კმაყოფილდებიან პასუხის მიცემით.

პოლიტხელი სისტემატიურად აწარმოებს პოლიტ-საათს (პოლიტიკურ წიგნების კითხვა და ახსნა, ხმა მაღალი კითხვები, საუბრები სხვა და სხვა საერთაშორისო კითხვებზე).

ამხ. ქანთარია (დრამ-წრის ხელმძღვანელი) გვიკითხავს პროლეტარულ ნაწარმოებს, რითაც ყველა დაინტერესებულია.

უფრო კარგად მომზადებული ამხანაგები ასწავლიან ნაკლებად მცოდნე ამხანაგებს რუსულ და ქართულ წერა-კითხვას და ანგარიშს, ისე რომ უმასწავლებლოდ იოლად მივდივართ და დიდის ხალისითაც.

პოლიტ-ხელმა თავისი ფულით გვიყიდა რვეულები და დაგვირიგა, რომელშიც ვიწერთ შენიშვნებს, ანგარიშს და სხვა.

დეზერტირობას ჩვენს გუნდში ადგილი არა აქვს.

ყველას ღირსეულად აქვს შეგნებული თავისი მოვალეობა.

შ. ა—ძე.

ქართულ გაერთიანებულ სამხედრო მეთაურთა სკოლის პარტიული ცხოვრებიდან.

ა. წ. 17 დეკემბერს მოხდა კომუჯრედის ღია კრება, რომელსაც დაესწრენ: 34 კომპარტიის წევრი, 125 კომკავშირის წევრი და 214 უპარტიო კურსანტები.

დღის წესრიგში მდგომ საკითხებიდან ყველაზე უფრო კურსანტთა ყურადღება მიიპყრო გერმანიის ამბებმა.

ამხ. ბუაჩიძემ გააკეთა მოხსენება გერმანიის მდგომარეობაზე.

მან აღნიშნა შემთანხმებელი პოლიტიკა გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის, რომელმაც ვერ შესძლო რევოლიუციის სწორი გზით წაყვანა კაპიტალიზმზე სრულ გამარჯვებამდე, რის გამო შიგ, სოც. დემოკ. პარტიაში თავი იჩინა რღვევამ და შეიქნა ძიება ახალი გზებისა ქვეყნის კატასტროფიულ მდგომარეობიდან გამოყვანისათვის.

გახშირებულმა კაბინეტების შეცვლამ ვერავითარ შედეგებს ვერ მიაღწია სახელმწიფოს პოლიტიკურ ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში. პირიქით, უმუშევრობა სულ უფრო და უფრო საგრძნობლად მატულობს, სწარმოებს მუშების სამსახურიდან მასიური დათხოვა რასაც შედეგად მოსდევს მუშების მხრივ სასტიკი წინააღმდეგობა, აწყობენ გამოსვლებს, დემონსტრაციებს და გაფიცვებს, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

მოხსენების შემდეგ გამოტანილ იქმნა რეზოლიუცია: „ჩვენ, კურს. კომუნისტები ქართ. გაერ. სამხ. მეთ. სკოლის, კომკავშირის წევრების და უპარტიო კურსანტების თანდასწრებით ფიცსა ვსდებთ მუშათა და გლეხთა ხელისუფლების წინაშე და ვაცხადებთ:

— შეერთებული ძალით მივიღოთ ენერგიული და აქტიური მონაწილეობა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებაში და სხვა ქვეყნებში სოციალისტური რევოლიუციის გამარჯვებაში.

უსურვებთ წინსვლას მოზარდ გერმანიის კომუნისტური პარტიის რიგებს, რომლებიც შესძლებენ ფაშიზმის და რეაქციონერთა შემთანხმებელ პარტიის სამუდამოდ დასამარებას.

პარტკორი ა. ჩოლოყავა.

კომუჯრედის ღია კრება.

ა. წ. 14 დეკემბერს შესდგა უმც. მეთაურთა მოსამზადებელ სკოლის კომუჯრედის ღია კრება. დაესწრნენ პარტ-შემადგენლობასთან ერთათ უფ-აღ-სან-შემადგენლობა და მთლიანათ კურსანტები.

დღის წესრიგში იყო „კომპარტიის როლი წითელ არმიაში“, მოხსენება გააკეთა და შესაფერად გაშუქა კომპარტიის როლი წითელ ჯარში ჩვენი შეფის წარმომადგენელმა ამხ. რ. კალაძემ.

მოხსენების შემდეგ კრებამ გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიაც გამოსთქვამს ჩვენი ამოცანების ცხოვრებაში გატარების საჭიროებას და თავდადებას კომუნიზმისათვის.

კრებამ დასასრულს ხანგრძლივი ტაშით დაამთავრა... და ინტერნაციონალი.

ე. ც—ია.

დიდუბეში... მილაზარეთში.

კვირას 16 დეკემბერს ელექტრომექანიკურ ქარხნის დრამატიულ სტუდიის მიერ წარმოდგენილ იქნა პიესები:

„სახრჩობელაზე“, ფარნაოზის სამი ცოლი“ და „დუქანში“.

მექანიკ. ქარხნის სახელით წითელ არმიელებს მისალმა ამხ. მეუნარგია და აღუთქვა მათ დახმარება,

დრამატიული წრე დიდის მადლობით გაისტუმრეს.

გ. გიგაური.

ქართულ მეთაურთა უმწყოპრო გუნდში.

ქართ. მეთაურთა უმწყობრო გუნდში წითელ არმიელთა ყოფა ცხოვრება საგრძნობლად გაუმჯობესებულია.

წითელ არმიელები კმაყოფილნი არიან, როგორც სურსათ სანოვაგით აგრეთვე ტანთსაცმელ-ფეხსაცმელით. გარდა ამისა კულტ-განმანათლებელი საქმეც სდგას თავის სიმაღლეზე, არსებობს წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლა, რომელშიაც სამოცდა ათამდე წითელ არმიელებია.

სკოლაში მეცადინეობა სწარმოებს: ორ წყებად. პირველში ირიცხება წერა-კითხვის უცოდინარნი, მეორეში კი წერა-კითხვის მცოდნენი, რომელთაც გათავებული აქვთ პირველი საფეხური და გადარიცხულ იქმნენ მეორეში.

იმართება აგრეთვე დღე გამოშვებით პოლიტ-განვითარება, რომელსაც დიდის ინტერესით ესწრებიან წითელ არმიელები, სადაც ეცნობიან საზოგადოებრივ ცხოვრებას. ამ მოკლე ხანში იქნება დამთავრებული ს. ს. რ. კ. და ცალკე რესპუბლიკების კონსტიტუცია, (ძირითადი კანონები), რომლის შემდეგ დაიწყება გერმანიის პოლიტ-ეკონომიური მდგომარეობა ომის შემდეგ, რომელიც დამთავრებულ უნდა იქნეს 20 იანვარს პროგრამის მიხედვით.

აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ წითელ არმიელები ძალიან ცოტა გვყავს და საქმე კი ბევრია მაგრამ, იმედი გვაქვს, რომ ამ ცოტა ხანში მოგვემატებიან, რითაც მეცემათ აქ მომუშავე წითელ-არმიელებს შედავათი ცოტათი მაინც.

ამ დღეებში შეუდგებით „წითელი კუთხის“ მოწყობას, რისთვისაც წითელ არმიელები არ შურავენ თავიანთ წვლილს.

ვ—ნი.

პარტიული ცხოვრება

ქარ. ცხენ. ლეგიონში.

8 დეკემბერს შესდგა ბიურო-კოლექტივის თათბირი, სადაც სხვა საკითხებთან ერთათ ირჩეოდა საკითხი სანიმუშო კომუჯრედის დაარსების შესახებ, რასაც ჩაეყარა საძირკველი იმავე დღეს. 12 დეკემბერს იქმნა დანიშნული, სანიმუშო კომ-უჯრედის პირველი კრება. დღეს წესრიგში იყო შემდეგი საკითხები:

1. პრეზიდიუმის არჩევა. 2. კომუჯრედის ამოცანების შესახებ და სხვა საკითხებ. პრეზიდიუმში იქნენ არჩეული შემდეგი ამხანაგები: 1) ოთარაშვილი იოსები, 2.) მნაცაკანოვი კონსტანტინე, 3.) ჭელიძე ევგენი.

მეორე საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ნამგალაძემ. ის შეეხო სანიმუშო კომუჯრედის მომავალ ამოცანებს რომელმაც ხაზ გასმით აღნიშნა, თუ როგორი მუშაობა უნდა აწარმოოს სანიმუშო კომუჯრედმა უპარტიო მასაში. კრებამ გამოიტანა სათანადო დადგენილება. შემდეგ განხილული იქნა საკითხი სამოქალაქო ორგანიზაციებთან კავშირის დაკავების შესახებ. **მ—ლი.**

ტანვარჯიშობა ჯარში.

თავისუფალი ვარჯიში.

ისეთი ვარჯიში, რომელსაც ყველა ასრულებს სხვის დაუხმარებლივ და უიარაღოთ, იწოდება თავისუფალ ვარჯიშათ.

თავისუფალი ვარჯიშიავარჯიშებს მთელს სხეულს. იგი აღიზიანებს და აძლიერებს სუნთქვის და სისხლის სადენ ორგანოებს და ამით აცხოველებს ნივთიერებათა გარდაქმნას სხეულში.

თავისუფალი ვარჯიში არის მომზადება სხვა ყველანაირ ვარჯიშობისათვის. აქ ადამიანი ეჩვევა თავის ტანის სხვა და სხვა ორგანოების ხმარებას.

თავის ნაირმხრივობით იგი თანდათან ამაგრებს ნერვიულ თანწყობას მთელს სხეულში. ვიდრე შეისწავლიდეთ რაიმე რთულ ვარჯიშობას, რომელსაც შეუძლია სარგებლიანობის ზენობი მისცეს ადამიანს, საჭიროა მომზადება. ამ საერთო მომზადებას იძლევიან მარტივი მოძრაობანი თავისუფალ ვარჯიშის საშუალებით.

თავისუფალ ვარჯიშში ყველა მოძრაობანი სრულდებიან ადამიანის ტანის სამი წარმოდგენითი ღერძების გარშემო.

1. მთავარი შვეული ღერძი, რომელიც ტანის სიმძიმის ცენტრზე ტანის განგრძივ გადის. 2. გვერდითი ღერძი (მარჯვენა და მარცხენა), რომლის მიმართულებითაც ვიყურებით, როდესაც ძირითად დგომაში ვდგევართ.

3. მხარითი ღერძი, რომელიც მხრების სიმაღლეზე განზე გაჭიმულ მკლავებზე გადის.

კუნთების სწორ განვითარებისათვის და მათ ჰარმონიულ შეთანხმებისათვის საჭიროა შემდეგი: მოძრაობის შესრულება უნდა სწარმოებდეს რაც შეიძლება მეტი გაქანებით. 2. ვარჯიში უნდა იყოს იმ კუნთების მიხედვით, რომლებიც მასში მონაწილეობენ შესაფერისი ძალის გამოჩენით, 3. შეკუმშვის და გაშლის დროს არ შეიძლება ყოვნა, 4. ასოების მოძრაობის მიხედვით შესაფერი სწრაფით ასრულება, 5. ერთი მოძრაობის და მეორის შორის საჭიროა აუცილებლივ ყოვნა (ხანგრძლივი ან ხანმოკლე), 7. ყველა მოძრაობას თანსდევს ნების მონაწილეობა. ვარჯიშის შედგენის დროს საჭიროა მხედველობაში მიღება იმისა, თუ რანაირი მომზადება აქვს მოვარჯიშეს და ამის და მიხედვით ამა თუ იმ ვარჯიშის სირთულე იხმარება.

რასაკვირველია დასაწყისში მარტივი მოძრაობანი იხმარებიან, შემდეგ უფრო რთული. ტანვარჯიშობა ემყარება ადამიანის ანატომიის და ფიზიოლოგიის ცოდნაზე. ის ვინც აღგენს ვარჯიშს აუცილებლივ გაცნობილი უნდა იყოს მათთან.

თავისუფალ ვარჯიშის შესრულება სწარმოებს ასე: „თავისუფლათ" დგომიდგან გადახვალთ ძირითად მოქუსლებულ და მიმკლავებულ დგომში. ამ მდგომარეობიდან იწყება ვარჯიში. ეს დგომი იწვევს მრავალ კუნთთა ჯგუფების დაჭიმვას, ეს დგომი ყველაზე მეტად ნორმალურია, რადგან აჩვევს ტანის სწორათ დაჭერას. ამ დგომის დიდი ხნით გაგრძელება არ შეიძლება, რადგან მეტად ჰლლის ადამიანს. უფრო ადვილია დგომა „თავისუფლათ", როდესაც მკლავები გადაჯვარედინებულია ერთმანეთთან „შიგ უკუმკლავში" (ზურგს უკან) ერთი ფეხი წინ (მარჯვენა) ტანის სიმძიმე კი განაწილებულია ორივ ფეხზე, მკერდი გადაშლილი რომ მოძრაობით მოღლილმა ფილტვებმა თავისუფლათ ისუნთქონ.

თავისუფალ ვარჯიშის შესწავლას იწყებენ უფრო მარტივ მოძრაობიდან, რაც საერთოდ ადვილად შესრულდება. რაც მეტად არის დამაგრებული ტანი მიწაზე, მით უფრო ადვილია მოძრაობაც. მაგ. ორივ ფეხზე დაბჯენით მოძრაობა უფრო ადვილია ვიდრე ერთზე.

ვარჯიში პირველათ ხანგრძლივი ყოვნით შეისწავლება რომ უფრო ადვილი იქნეს ცალკე ასოების შეთვისება.

ერთ და იმავე დროს შესწავლა დიდი ხნის განმავლობაში მიზანს ვერ მიახწევს, უმჯობესია გადახვიდეთ სხვა ასოებზე და შემდეგ დაუბრუნდეთ ისევ ძველს და გაიმეოროთ. რაც მეტად ძნელი იქნება ვარჯიში, მით უფრო ხშირათ დასჭირდება გამეორება. თანდათანობით მოძრაობას ემატება ასოები, შემდეგ სისწრაფე ასრულების და ბოლოს ტანის უფრო მეტი ნაწილების მონაწილეობა. განკარგულება უნდა იყვეს მოკლე და გასაგები. ახალი ვარჯიში აუცილებლივ უნდა ეჩვენოს მოვარჯიშეს, თუ ვერ გაიგებს სჯობია მეორეთ ჩვენება ვიდრე სიტყვით ახსნა.

ახსნის და ჩვენების წინ ყოველთვის გაიცემა განკარგულება „თავისუფლად". თავისუფალ ვარჯიშში ყოველთვის მონაწილეობს მრავალი მოვარჯიშე. ეს არის მისი უმთავრესი დადებითი მხარე ერთ წვრთნელს შეუძლია ავარჯიშოს 11-150 წითელ არმიელი, ამიტომაც საზამთრო ვარჯიშობაში (ზაფხულისათვის მზადება) მას უპირატესობა უნდა მიეცეს. საჭიროა რომ ყველა ნაწილებში აუცილებლივ შემოიღონ ყოველ დღიურათ თავისუფალი ვარჯიში დღეში ნახევარი საათი მაინც.

გიტო.

ჩვენი სასოფლო მეურნეობის გაჯანმრთელება და კოოპერაცია.

ყველასათვის ცხადია, რომ ჩვენი მრეწველობის და სასოფლო მეურნეობის აღდგენისათვის საჭიროა კაპიტალი, რომელიც ჩვენ არ გვაქვს საკმაოდ და არც არსაიდან ველით.

ჩვენ წინ იშლება პერსპექტივა მრეწველობის და სასოფლო მეურნეობის საკუთარი ძალებით გამართვისათვის, რისთვისაც უნდა მოხდეს მატერიალურ რესურსების უდიდესი ეკონომია, რათა სახალხო მეურნეობის ყველა დარგებს მიეცეს ჰარმონიულ განვითარების საშვალება.

ჩვენ დღევანდელ მიზანს შეადგენს სახალხო მეურნეობის ყველა ნაწილების თანაბრად განვითარება, რაც გამოიწვევს კრიზისების თავიდან აცილებას, რომელმაც თავი იჩინა საქსოვ მრეწველობაში.

კრიზისი ამ უკანასკნელში გამოწვეულია მანუფაქტურის სიძვირით ერთის მხრივ და გლეხობის ხელმძღვანელობით მეორეს მხრივ. გლეხობა კი საბჭოთა რესპუბლიკებში უდიდესი ბაზარი არის ქალაქის მრეწველობისათვის. წარმოების ერთ ერთ ელემენტის ცალმხრივი განვითარება იწვევს საწარმოო ძალების ზრდის შეჩერებას, რასაც შედეგად მოყვება კრიზისი.

ასეთი მდგომარეობა გვაქვს დღეს. დაცემული სასოფლო მეურნეობა—მიწის მუშის ხელმოკლეობა და ქალაქის ნაწარმოების სიძვირე მეორეს მხრივ და ეს იმ დროს, როდესაც მთელი ძალა სოფელთან დაახლოვებისაკენაა მიმართული. პოლიტიკური დაახლოება სოფელთან შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც დაწესდება ნორმალური ეკონომიური კავშირი ქალაქსა და სოფელს შუა.—როგორ დავამყაროთ ნორმალური ეკონომიური ურთიერთობა სოფელსა და ქალაქს შუა, როგორ მოვახდინოთ ინტენსიფიკაცია სოფლის მეურნეობის, რათა მიეცეს მეურნეს მეტი მსყიდველობითი უნარი? აი გადასაჭრელი ამოცანა.

ომმა და რევოლუციამ გამოიწვია სასოფლო მეურნეობის ნედლი მასალის საზღვარ გარეთ გატანის შეჩერება და აგრეთვე სახალხო მეურნეობის ნორმალური მიმდინარეობის დაშლა, რასაც შედეგად მოყვა 9 მ. ნედლი, მასალის დაგროვება.

საბჭოთა ხელისუფლების ძალების დაჭიმვით მოხდა სახალხო მეურნეობის ნაწილობრივი აღდგენა. განსაკუთრებით ფაბრიკა საქარხნო მრეწველობის, რომელიც ამუშავებს დაგროვებულ ნედლ მასალას. პარალელურად ნედლი მასალა გააქვთ საზღვარ გარეთ. ამრიგათ ომის და რევოლიუციის დროს დაგროვებული ნედლი მასალა საგრძნობლად მცირდება. რაც მომავლისათვის შესაბამისად გამოიწვევს ფაბრიკა საქარხნო მრეწველობის კრიზისს.

გამოსავალი კი ამ მდგომარეობიდან ასეთია: ან შემოკლება მრეწველობის, ან ნედლი მასალის საზღვარ გარეთიდან შემოტანა.

ნედლი მასალის შემოტანის საშვალებას არ გვაძლევს ვალიუტა. წარმოების შეჩერება კი დამღუპველია. მაშასადამე საჭიროა მესამე ყველაზე მისაღები გზა, რომელიც მოითხოვს შეთანხმებული პოლიტიკის წარმოებას, რაც უნდა გამოიხატოს სადამოჟნო პოლიტიკის, ტრანსპორტის, რკინის გზების ტარიფის და კოოპერატიულ მუშაობის შეთანხმებაში (სათანადო პრაქტიკული ნაბიჯები უკვე იდგმება.)

კოოპერაცია ერთად ერთი ფაქტორია, რომელიც ნორმალურ კალაპოტში ჩააყენებს სასოფლო მეურნეობის სტიქიურ წარმოებას.—მართლაც შეკრება დახარისხება, პირველი დამუშავება და საექსპორტო ბაზარზე გამოტანა ისეთი ნედლი მასალის, როგორც არი მატყლი ბეწვეული, ჯაგარი, თმა, წვლები ძვლები, რქები და სხვა მრავალი ასეთი, რომელიც უამრავად არი გაფანტული საბჭოთა რესპუბლიკების სივრცეზე შეუძლია მხოლოდ კოოპერატივებს, და თუ ამ მორიგ მოვლენობას, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა რესპუბლიკის, როგორც საგარეო ვაჭრობისათვის, აგრეთვე ფინანსიურ პოლიტიკის გამაგრებისათვის შეასრულებს კოოპერატივები, მაშინ, უკანასკნელნი, გამართლებული იქნებიან როგორც ეკონომიკის აგრეთვე პოლიტიკის თვალსაზრისით. რადგან კოოპერატივების ასეთი პოლიტიკა იწვევს გლეხობასთან დაახლოვებას და მათშორის ნორმალურ ეკონომიურ კავშირის გაბმას.

კოოპერატივებმა, გლეხობას ნედლი მასალის სამაგიეროთ უნდა მიაწოდონ: ქალაქის მრეწველობის პროდუქტები და რაც შეიძლება დაკლებულ ფასებში. მაგრამ მარტო კოოპერატიული მუშაობა არ არი საკმაო, საჭიროა, რომ მცხოვრებლებს ქონდეს სტიმული ნედლი მასალის დაგროვება გაყიდვისათვის. ამისათვის კი საჭიროა, რომ სხვა და სხვა გადასახადები არ ადიდებდეს საექსპორტო მასალის ფასს.

კოოპერატივების ასეთი მონაწილეობა ს. მ. ნედლი მასალის და მზადებაში, გამოიწვევს კოოპერატივების საგარეო ვაჭრობაში ჩაბმას, რასაც შედეგად მოყვება საბრუნავ საშვალებების დაგროვება და სასოფლო მეურნეობის ინტენსიფიკაცია, და მეურნის მსყიდველობითი უნარის გაძლიერება მეორეს მხრივ.

ყოველივე ამას უკვე ექცევა ჯეროვანი ყურადღება საბჭოთა ხელისუფლების მიერ. იმედი გვაქვს, რომ დაწყებული მუშაობა დამთავრდება.

თ. ძე.

ახალი ამბები

ტანისამოსი ქართ. ცხენ. ლეგიონს.

ქარ. დივიზიის სამხ. კომ. შუამდგომლობის თანახმათ, ქალაქის აღმასკომმა დაადგინა ქართ. ცხ. ლეგიონის ტანისამოსის შესაძენათ გადასდოს 150 ჩერვონცი.

შემთხვევები.

მუშების ქურდი.

შეიპყრეს იოსებ საყვარელიძე, რომელმაც მუშ. ცენტ. კლუბიდან მოიპარა ელექ. შუშები.

ქურდობა.

ელისაბედის ქ. № 148 გაქურდეს მოქ. შარაშენიძის ბინა და წაიღეს 13 ჩერვ. ნივთები.

სასამართლოს გაქურდვა.

გაქურდეს მეცხრე უბნის სასამართლო და წაიღეს სხვა და სხვა დამამტკიცებელი საბუთები.

ჩერვ. ანგარიშზე გადასვლა.

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ყველა ქვემდებარე დაწესებულებებში სპეცებისათვის ჯილდოს მიცემა სწარმოებს ჩერვონეცის კურსით.

გლეხთა სასახლისათვის.

ქუთაისის მაზრის გლეხთა კომიტეტებმა სთხოვეს მთავრობას შეეცადოს თფილისში გლეხთა სასახლის დაჩქარებით მოწყობას.

სწრაფი მატარებლები.

ა. კ. რკინის გზის სამმართველომ გადასწყვიტა კახეთის რკინის გზის სიჩქარე გაადიდოს საათში 25 ვერსით.

თავის ჩამოხრჩობა.

მოქ. მათიკო ჩხაიძემ მავთულით ჩამოიხრჩო თავი. მიზეზი გამოურკვეველია.

მეცნიერება და ტეხნიკა

სიკვდილი და მისი გამომწვევი მიზეზები.

(გაგრძელება)

წინა წერილში ჩვენ მოვიყვანეთ ვეისმანის აზრი, რომელიც ამბობდა, რომ სიკვდილი სავსებით გონივრული მოვლენა არის და ამასთანავე მიზანშეწონილი შეგუება გვარის შემდეგი განვითარებისათვისო.

ერთი ამერიკელი ბიოლოგი პროფესორი მაიონოტი ამავე საკითხს უფრო სხვა გვარად განიხილავს და სრულიად არ მიაჩნია სიკვდილი სასარგებლო შეგუებად. მაიონოტის თვალსაზრისი სხვაგვარია—ის სცდილობს პირველად ყოვლისა გაიგოს მოხუცებულობისა და სიკვდილის ძირითადი პრინციპები. მოხუცებულობის ერთი უმთავრესი მიზეზი არის სხეულის ზრდის შეგვიანება და შემდეგ კი სრული მისი შეჩერება, ის აღწევს სრულ დამთავრებამდე და შემდეგ სიბერის საზღვარი აჩერებს ზრდას. ეს პროცესი დაწვრილებით გამოიკვლია მაიონოტმა სხვა და სხვა ცხოველებზე და ადამიანზე ცდების დაყენებით.

მან აღმოაჩინა, რომ სხეულის ზრდა პროპორციონალურია მის სიმძიმესთან, ამიტომ ჩქარი ზრდა ყველაზე უფრო ადვილად შეიძლება გაგებული იქნეს სხეულის აწონით. მაიოხიტი სწონიდა ცხოველებს მათი გაჩენის დღიდან სრულ სიბერემდე პერიოდიულად და შემდეგ გამოიანგარიშებდა პროცენტებში მათ ყოველ დღიურ მომატებას წონაში სხეულის ზრდასთან შეფარდებით. მაგალითად, ადამიანზე ზემოხსენებული ცდის დაყენებით მაიონოტმა ასეთი შედეგი მიიღო. დაბადებიდან პირველი წლის განმავლობაში სხეულის ზრდის გადიდება აღწევს 200 პროცენტს. მეორე წელში ჩამოდის 25 პროც. შემდეგ მე-3-მე წ. ზრდა ჩამოქვეითდა 20 პროც. ხოლო მე-4-ხე წ. კი 10 პროც. და ზრდის განვითარება ამ დონეზე რჩება უმცირესი ცვლილებებით 17 წლამდე. ე. ი. სასქესო ასაკის დაწყებამდე.

ამ მოვლენას პროფესორი მაიონიტი მიაწერს ორგანიზმის უჯრედებისა და ქსოვილების დიფერენციაციას, დაყოფას, დანაწილებას. ერთულესი ორგანიზმი თავის დასაწყისს ღებულობს ერთ უჯრედისაგან, რომლის შემდეგი დაყოფის, დანაწილების და ამნაირად გამრავლების სახით ვღებულობთ რთულ ორგანიზმის ჩამოყალიბებულ და დამთავრებულ ფიგურას. უჯრედების პირველი შთამომავლობა შედარებით უფრო მარტივი წყობის არიან და ამისათვის არც რაიმე სპეციალურ საქმიანობასთან შეგუებული, ხოლო შემდეგ განვითარდებიან უფრო სპეციალური დანიშნულების უჯრედები, როგორიცაა—კუნთების, ნერვიული, სისხლის ბურთულები და სხვა. ამნაირად ასეთი დიფერენციაციის პარალელურად, ორგანიზმის განვითარებასთან ერთად შემჩნეულია მისი ზრდის სიჩქარის პროცენტული შემოკლებაც.

ეს სრულიად ბუნებრივი მოვლენა არისო ამბობს მაიონიტი, რადგან უფრო მარტივი წყობის და ნაკლებად სპეციალური უჯრედები იყოფიან უფრო ნელა, ვიდრე რთული და სპეციალიზაციის ფარგლებში შესული ნერვიული უჯრედები.

ამნაირად ზრდის შენელება, სიბერის დაწყება და უკვე ამის შემდეგ სრული მისი შეჩერება გამოწვეულია უჯრედთა დიფერენციაციით. სწორედ ამიტომ რაც უფრო დამთავრებულია მრავალ უჯრედოვანი ორგანიზმი, მით უფრო ის შედის სიბერის პროცესში და შებრუნებულად, ნაკლებად განვითარებული ორგანიზმის მქონი ცხოველები, როგორც მაგ. ერთ უჯრედოვანი ცხოველები თითქმის უკვდავი არიან. ამნაირად ჩვენი ზრდა განვითარება და შემდეგ სიკვდილი დამოკიდებული ყოფილა ჩვენი სხეულის უჯრედთა დიფერენციაციაზე-დანაწილებაზე. მაიონოტის სიტყვით უჯრედების ასეთი სპეციალიზაციის წყალობით არის. რომ ჩვენ დამთავრებულ ორგანიზმის მქონ ადამიანად შევიქენით. ასეთივე აზრის არის ამ საკითხზე მეორე ბიოლოგი გერტვიგი. მასაც მოხუცებულობის და სიკვდილის ძირათად მიზეზებათ მიაჩნია უჯრედთა დიფერენციაცია. ამნაირად გერტვიგის აზრითაც სიცოცხლის უდიდესი ინტენსიობა და სირთულე საუკეთესო ბასრი იარაღია სიკვდილის ხელში.

უ. ხ.